პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 4 (499) კვირა, 13 იანვარი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

ზანვარჯიშის აღმავლობისათვის!

გასული წლის დეკემბერში თბილისის მაყურებელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია კომპლექსურმა ასპარეზობამ საბჭოთა კავშირის პირველობაზე აკრობატიკაში, მხატვრულ და სპორტულ ტანვარჯიშში.

შეჯიბრება, რომელიც მოგვეწყინა საბჭოთა ტანვარჯიშის ძალთა დათვალიერებად, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა. მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეები სამართლიანად ითვლებიან ერთ-ერთ უძლიერესად მთელ მსოფლიოში.

საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის დარგში კარგი ტრადიციები აქვს.

მაგრამ, იყო პერიოდი, როდესაც სპორტული ტანვარჯიშის განვითარება ჩვენს რესპუბლიკაში ერთ წერტილზე გაიყინა. მართალია, ეს პერიოდი არც თუ ისე ხანგრძლივი იყო, მან მაინც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოში ტანვარჯიშის შემდგომ აღმავლობაზე.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მითითებათა საფუძველზე, მათი უშუალო დახმარებითა და მხარდაჭერით ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა მკვეთრად გარდაქმნეს თავიანთი საქმიანობა სპორტული ტანვარჯიშის დარგში და უკანასკნელ წლებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. საგრძნობლად იმატა ტანვარჯიშის განვითარების დონემ, სისტემატური, გეგმიანი სასწავლო-საწვრთნელო მუშაობის შედეგად აღიზარდა და საკავშირო სარბიელზე გამოვიდა მთელი პლეადა ახალგაზრდა, ნიჭიერი ტანმოვარჯიშეებისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს არასდროს არა ჰყოლია ისეთი ძლიერი ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდი, როგორც ახლა. ფართო გასაქანი ჰპოვა სპორტის ამ ერთ-ერთმა წამყვანმა სახემ რესპუბლიკის საშუალო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებში და სხვ.

მაგრამ ტანვარჯიშის განვითარების მნიშვნელოვან საქმეში რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ახასიათებთ სერიოზული ნაკლოვანებები. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სპორტის ამ საინტერესო და უაღრესად სასარგებლო დარგის აწყობა შეუფასებლობას იჩენენ საქართველოს რაიონებში. ისეთ დიდ სპორტულ ცენტრში, როგორიც ბათუმია, დღემდე არა ჰყავთ არც ერთი ოსტატი ვაჟი. პირდაპირ სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ ბათუმის 1951 წლის საქალაქო პირველობის გათამაშებაზე ვერც ერთმა ტანმოვარჯიშე ვაჟმა ვერ შეასრულა არა თუ ოსტატის, არამედ პირველი თანრიგის ნორმაც კი.

კარგი მდგომარეობა ტანვარჯიშის განვითარების მხრივ არც აფხაზეთის ასს რესპუბლიკაშია. ცუდად არის დაყენებული ეს საქმე სამხრეთ ოსეთში და რესპუბლიკის უმეტეს რაიონებში. ცხადია, არანორმალურია ის ამბავი, რომ საქართველოს სახელს საკავშირო შეჯიბრებებში მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის წარმომადგენლები იცავენ.

ტანვარჯიშის განვითარების დარგში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტებსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს ძალზე დიდი მუშაობის გაწევა მართებთ. მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმის შესრულება მოუწევს „კოლმეურნეს“, რომელმაც მთელი ძალების დარაზმვით, ენერგიის დაუზოგავად უნდა იბრძოლოს სოფლად სპორტის ამ წამყვანი დარგის პოპულარიზაციისა და მტკიცე დანერგვისათვის.

1951 წლის საკავშირო გათამაშებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საქართველოს ტანმოვარჯიშეები სუსტად გამოიყურებიან ტაიჭზე ვარჯიშისას. ამ იარაღზე მიღებულმა დაბალმა შეფასებამ ჩვენს რამდენიმე წამყვან სპორტსმენს აშკარად დაუკარგა მაღალი ადგილის მოპოვების შესაძლებლობა. მწვრთნელთა გადაუდებელი ამოცანაა, იმგვარად წარმართონ თავიანთი საქმიანობა, რომ მომავალ შეჯიბრებებში ჩვენ გუნდებს სუსტი ადგილები არა ჰქონდეთ.

წლიდან წლამდე აუმჯობესებს თავის ტექნიკურ შომზადებას საქართველოს გუნდი მხატვრულ ტანვარჯიშში. მაგრამ სსრ კავშირის პირველობამ დაგვანახა, რომ ჩვენი კოლექტივის წარმომადგენლები ჯერ კიდევ შესამჩნევად ჩამორჩებიან ლენინგრადის, უკრაინისა და მოსკოვის გუნდების წევრებს.

საჭიროა მეტი მუშაობა სპორტის ამ მიმზიდველი სახის უკეთ დაუფლებისათვის, ტექნიკური დაოსტატების დონის შემდგომი ამაღლებისათვის. საქართველოს გუნდის წევრთა კარგი ბუნებრივი მონაცემები, მაღალკვალიფიციურ მწვრთნელთა კადრების არსებობა და საერთო, დაუცხრომელი სურვილი სპორტული დახელოვნებისაკენ მომავალი წარმატებების კარგ გარანტიას იძლევა.

საქართველოს აკრობატები დამსახურებულად ითვლებიან ერთ-ერთ საუკეთესოდ ჩვენ ქვეყანაში. ამის ჰეშმარიტი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისის აკრობატთა ოთხეული სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონია.

მაგრამ, ამას წინათ დამთავრებულ საკავშირო გუნდურ ასპარეზობაში ჩვენი აკრობატები სუსტად გამოიყურებოდნენ. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა თავისუფალი ვარჯიშების შესრულებისას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ძალზე უმნიშვნელო ყურადღება ეთმობა მხტომელთა მომზადებას. საერთოდ, აკრობატიკის განვითარებაში მრავალი ნაკლი არსებობს. ისეთ ძლიერ სპორტსაზოგადოებებშიც კი, როგორიცაა „დინამო“, „სპარტაკი“, „ისკრა“, „შრომითი რეზერვები“ მას არასაკმაო სერიოზულობით ეკიდებიან.

რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ვალია გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა ტანვარჯიშის დარგში და მოკლე დროში აღმოფხვრან არსებული სერიოზული ნაკლოვანებები.

☆

სემინარი ფიზკულტურის მასწავლებელთათვის

სტალინირი. (ჩვენი კორ.). ამ დღეებში, სამხრეთ ოსეთის განათლების საოლქო განყოფილების ფიზაღზრდისა და სპორტის ინსპექციამ ოლქის ფიზკულტურის მასწავლებელთა სპორტული დონის ასამაღლებლად მოაწყო სემინარი მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში.

თეორიული და პრაქტიკული კურსის გავლის შემდეგ გაიმართა გამოცდა, სადაც თავი ისახელეს გ. საბაკოევმა, გ. დუბინინმა, ი. ხაბალოვმა, შ. მეტრეველმა და სხვ.

სემინარმა გამოუშვა 34 მასწავლებელი: 19 მძლეოსნობაში და 15 ტანვარჯიშში.

ნ. ზადიშვილი

დიადი ცხოვრების გზაზე

ორმოცდაათი წლის წინათ, 1901 წლის 31 დეკემბერს (ძველი სტილით) ამხანაგ სტალინის მეთაურობით გაიმართა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ისტორიული კონფერენცია, რომელმაც აირჩია რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტი.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი ამიერკავკასიის მესამე (თბილისისა და ბაქოს შემდეგ) პროლეტარულ ცენტრს წარმოადგენდა. ცხრაასიანი წლების ბათუმის საწარმოებში უკვე 11 ათასამდე მუშა ითვლებოდა.

აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა და პოლიტიკური უუფლებობა პროლეტარიატში ბადებდა პროტესტის სულისკვეთებას, მაგრამ ეს პროტესტი სტიქიურ ხასიათს ატარებდა. „მესამე დასის“ უმრავლესობის მომხრენი კ. ჩხეიძე და ი. რამიშვილი ბათუმელ მუშათა პატარა ჯგუფში ეწეოდნენ ლეგალურ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას — პრაქტიკულად ახორციელებდნენ „მესამე დასის“ უმრავლესობის გეზს.

ბათუმში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესაქმნელად თბილისის კომიტეტის დავალებით 1901 წლის ნოემბერში ჩადის ამხანაგი სტალინი. ამხანაგმა სტალინმა მოკლე პერიოდში შეძლო სოციალ-დემოკრატიული წრეების დაარსება ბათუმის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში.

1901 წლის 31 დეკემბერს მუშა ს. ლიმანჯარის ბინაზე ამხანაგმა სტალინმა მოიწვია ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, გამოიყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ამ ჯგუფმა ფაქტიურად შეასრულა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტის როლი.

ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშებმა დაიწყეს აშკარა რევოლუციური ბრძოლა. ბათუმის მუშების პირველმა რევოლუციურმა ნაბიჯებმა შესანიშნავად ცხადყვეს პროლეტარიატის დარაზმული რიგების ძალა.

50 წლის წინათ ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ისტორიულ კონფერენციაზე ამხანაგმა სტალინმა წინასწარმეტყველურად წარმოთქვა: „აი, გათენდა კიდეც. მალე მზე ამოვა. დადგება დრო და ეს მზე ჩვენთვისაც გაანათებს!“.

დიდი ბელადის ისტორიული სიტყვები სინამდვილედ იქცა. ჩვენს ქვეყანაში უკვე 34 წელზე მეტია ანათებს სოციალიზმის ცხოველმყოფელი მზე.

◆

ბათუმი. „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტისაგან

◆

ქალაქის გარეუბანი. არხში მოჩხრიალე ანკარა წყალი, ლამაზი პალმები და მარადმწვანე დეკორაციული მცენარეები... ერთ-ერთი ქუჩის დასაწყისში ვკითხულობთ წარწერას: „31 დეკემბრის ქუჩა“. აქ პირველად მოხვედრილ ახალგაზრდას თვალწინ წარმოუდგება გმირული წარსულის ამაღელვებელი სურათები, რომელთა შესახებ მას მხოლოდ წიგნებში ამოუკითხავს.

... 1901 წლის 31 დეკემბერი. ტყვიისფერი ღრუბლებით დაბურული ზეცა ჩამოწოლილა ქალაქს. ზღვა ბობოქრობდა, უზარმაზარი ტალღები გაფითრებით ეხეთქებოდნენ ნაპირს.

ეძინა არაადამიანური შრომით მოქანცულ მუშათა უბანს, სინათლის შუქიც კი არსაიდან გამოკრთოდა.

ამ ღამეს, ახალწლის წინა ღამეს, მანთაშვილის ქარხნის მუშის სილიბისტრო ლომჯარიას ბინაზე შეკრებილიყვნენ ბათუმის საწარმოთა მოწინავე მუშები.

და აი, გარიჟრაჟზე, წამოდგა ახალგაზრდა, რომელმაც არწივისებური მზერა მიაპყრო იქ მყოფთ და თავისი მზნეზარე სიტყვა ასე დაასრულა:

— აი, გათენდა კიდეც. მალე მზე ამოვა. დადგება დრო და ეს მზე ჩვენთვისაც გაანათებს!

ეს იყო 50 წლის წინათ (ახალი სტილით 13 იანვარს). ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილის ბრძნული წინასწარმეტყველება სინამდვილედ იქცა. ამბორწყინდა მზე, რომელიც თავის ცხოველმყოფელ სხივებს აფრქვევს ჩვენ ბედნიერ ხალხს, თავისუფალ მიწა-წყალს...

წარსულის დიდებიდან, რომელიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ბოლშევიზმის მატიანეში, ბათუმი ახალი დიდებისაკენ მიდის.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხმა დაამთავრა გმირული, შემოქმედებითი შრომისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ბრწყინვალე 1951 წელი, ქალაქის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს კანონიერი სიამაყის გრძნობა იპყრობთ. ეს გრძნობა გამოხატულია საწარმოო დავალებების ორმაგად შესრულებაში, სტახანოვურ შრომაში, ახალ სპორტულ მიღწევებში.

დიდი ბელადის რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის 50 წლისთავის შეხვედრისათვის მზადების დღეებში ქალაქის საწარმოთა ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება.

... სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ნათელი სამკრო. სამუშაოს დაწყებამდე მცირე დროა დარჩენილი. თანრიგოსანი სპორტსმენი, ახალგაზრდა სტახანოველი მიხეილ ნოღაიდელი უფროსი ოსტატის დახმარებით ბრიგადის წევრებისათვის სამუშაოს ანაწილებს.

დღეს სასწრაფო დავალებაა შესასრულებელი. ცვლის განმავლობაში უნდა დამზადდეს საჭრისების ორი კომპლექტი. მიხეილი კარგად არის



ქ. ბათუმის სპორტსმენთა ჯგუფი ათვალიერებს ობელისკს, რომელიც აგებულია მანთაშვილის ქარხნის ყოფილი შენობის ადგილზე. სურათზე: პირველთანრიგოსანი ვ. მენაბდე ესაუბრება ქალაქის ჩემპიონებსა და რეკორდსმენებს დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

ფოტო კ. საბახტარაშვილისა

* * *

დაუფლებული თავის საქმეს. მან ერთხელ კიდევ შეამოწმა დაზგა და მუშაობა დაიწყო.

... ცვლის დამთავრებას ერთი საათი უკლდა, როცა მიხეილმა დავალება უკვე შეასრულა.

საწარმოში 298 მოწინავე სპორტსმენი იძლევა თავდადებული შრომის მაგალითებს. აი, თანრიგოსანი ი. ტიხომიროვი. იგი პირველთაგანია იმათ შორის, რომლებსაც წლიური დავალება უკვე შესრულებული აქვთ და ახლა 1953 წლის ანგარიშში მუშაობენ.

ქარხნის კოლექტივმა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი — 25 ნოემბრისათვის შეასრულა წლიური საწარმოო დავალება, ხოლო მას შემდეგ გეგმის გადამეტებით გამოუშვა რამდენიმე მილიონი მანეთის ღირებულების ნავთობპროდუქტები. დაზოგილია 1.280 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 3.700 ტონა საწვავი.

ბელადის სახელობის ქარხნის კოლექტივის ამ შრომით გამარჯვებებში დიდი წილი მიუძღვით ქარხნის ფიზკულტურელებს.

* * *

... ლამაზად გამოიყურება ბათუმის ფანერის ქარხანა. კორპუსთა კედლებზე გაკრულია ლოზუნგები და პლაკატები, რომლებიც მოუწოდებენ მუშებს ახალი წარმატებებით აღნიშნონ ახალი, 1952 წელი. სტენდები ასახავენ საწარმოო მიღწევებს, მათზე წარმოდგენილია ქარხნის მრავალი ახალგაზრდა სტახანოველი, ფიზკულტურელი მუშის შრომითი საქმიანობა.

აქ 85 სპორტსმენი მუშაობს. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ფეხბურთელი ოთარ ტერენტიევი, რომელმაც წლიური საწარმოო დავალება სტალინური კონსტიტუციის დღისათვის შეასრულა. ტერენტიევს ეჯიბრება მოწინავე მეავეჯე, კალათბურთელი თენგიზ ლეკვეიშვილი, რომელმაც უკვე შეასრულა მომავალი, 1953 წლის იანვრის საწარმოო დავალება.

საწარმოს ახალგაზრდობა უსაზღვროდ აღფრთოვანებულია იმით, რომ ამ ქარხანაში 1902 წლის თებერვალში დიდმა სტალინმა მოაწყო და ხელმძღვანელობა გაუწია ორ დიდ გაფიცვას, რომლებიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა

... დილით, როცა ისინი სამუშაოდ მოდიან ქარხანაში, ყოველთვის სიამაყით შესცქერიან მარმარილოს მემორიალურ დაფას, რომელზეც ოქროსფრად ელვარებენ სიტყვები: „1902 წლის თებერვალში როტშილდის ყოფილ ქარხანაში ამხანაგმა სტალინმა მოაწყო და ხელმძღვანელობა გაუწია ორ დიდ გაფიცვას, რომლებიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა“.

ეს ისტორიული წარწერა ახალი შრომითი საქმეებისათვის აღაფრთოვანებს ახალგაზრდობას.

მართლაც, რა ბედნიერებაა მუშაობდე იმ ქარხანაში, სადაც ხალხთა საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი დაუცხრომელ რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა ჩვენი ხალხისა და ახალგაზრდობის უკეთესი მომავლისათვის.

* * *

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ეგებებიან ბათუმში დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის 50 წლისთავს ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, რკინიგზის სავაგონო დეპოსა და სხვა საწარმოთა მუშა ფიზკულტურელები.

ბათუმის ახალგაზრდობა შეპყრობილია ერთი დიდი სურვილით: ასახელოს ძვირფასი რევოლუციური ტრადიციების ქალაქი, ღირსეული საწარმოო და სპორტული წარმატებებით აღნიშნოს მშვიდობის დიდი მედროშის, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდის 50 წლისთავი.

ჯ. სახვაჩიძე

დაბალი შედეგები

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების IV ტური ძალოსნობაში

თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გასული წლის ბოლოს გაიმართა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების IV ტური ძალოსნობაში. ამ შეჯიბრებასთან პარალელურად ჩატარდა ქალაქის გუნდური პირველობის გათამაშება (ორი დღის დაძაბული ასპარეზობის შემდეგ თბილისის პირველობა მოიპოვა „დინამოს“ შტანგისტთა კოლექტივმა).

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების IV ტურში უმაღლეს სასწავლებელთა შორის გაიმარჯვა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა შორის -- „ნაუკის“ კოლექტივმა და სხვ.

IV ტურისა და თბილისის 1951 წლის ჩემპიონის წოდება დაიმსახურეს: მჩატე წონაში — ი. წოწოლაშვილმა („დინამო“) — 250 კგ., ქვემსუბუქში — ხ. ხანუკაშვილმა („დინამო“) — 307,5 კგ., მსუბუქში — რ. ჩიმოშკიანმა („დინამო“) — 335 კგ., ქვესაშუალოში — მ. ყიენტმა („დინამო“) — 347,5 კგ., საშუალოში — გ. კოშაძემ („ისკრა“) — 370 კგ., ქვემძიმეში — დ. კაპცოვმა („დინამო“) — 350 კგ., მძიმეში—შ. წივწივაძემ („დინამო“) — 360 კგ.

სახახარულო ფაქტად უნდა ჩავთვალოთ ახალგაზრდობის სპორტული ოსტატობის უდაო ზრდა (ნ. ხვედელიძე, ა. გალოიანი, ი. შავცი, ი. ჭართველიშვილი, დ. ნიკურაძე, ვ. ახობაძე და სხვ.).

ამავე დროს, შეჯიბრებამ გამოამჟღავნა ძალოსნური სპორტის განვითარებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. გაკვირვებას იწვევს ის, რომ ტურნირში 93 შტანგისტის ნაცვლად მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 64-მა.

ასპარეზობისათვის არასერიოზულად მოემზადნენ „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ ძალოსნები და, ცხადია, მათი სპორტული მაჩვენებლებიც დაბალი აღმოჩნდა.

უცნაურად მოიქცა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ ხელმძღვანელობა. მან წარმოადგინა განაცხადი შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის, მაგრამ „უროჟაის“ შტანგისტები სარბიელზე არ გამოსულან. ასევე არ მიიღეს ასპარეზობაში მონაწილეობა „ტრუდისა“ და თბილისის ოფიცერთა სახლის სპორტკლუბის სპორტსმენებმა.

შეჯიბრების ჩატარებისათვის მეტად არახელსაყრელი დრო იქნა შერჩეული. ქალაქის სტუდენტობა ზამთრის საგამოცდო სესიებისათვის მზადებით რომ არ ყოფილიყო დაკავებული, ცხადია, ასპარეზობაში ახალგაზრდობის გაცილებით მეტი წარმომადგენელი მიიღებდა მონაწილეობას.

საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების IV ტურში ქ. თბილისს უნდა წარედგინა ყოველ წონით კატეგორიაში 10 საუკეთესო ძალოსნის მცერ ნაჩვენები შედეგი. საუბედუროდ, მონაწილეთა მცირე რაოდენობა (ზოგიერთ წონებში 6-8 კაცი) გამოიწვია ის, რომ წინა ტურებთან შედარებით IV ტურში ძალზე დაბალი შედეგები იქნა ნაჩვენები. მაგალითისათვის ერთმანეთს შევადაროთ III და IV ტური.

	III ტური	IV ტური
მჩატე წონა	2.235	1.667,5
ქვემსუბუქი წონა	3.265	2.312,5
მსუბუქი წონა	2.652,5	2.632,5
ქვესაშუალო წონა	2.617,5	2.827,5
საშუალო წონა	2.735	2.252,5
ქვემძიმე წონა	3.155	1.870
მძიმე წონა	2.015	1.717,5
სულ	18.675	15.280

აღნიშნული ფაქტები ნათლად ადასტურებენ, რომ თბილისში ძალოსნობის განვითარებას სათანადო უურადღება არ ექცევა. ზემომოყვანილი სამარცხვინო ფაქტი სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას.

* * *

1951 წელს გამართული სამი ტურის საერთო შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა „ნაუკის“ ძალოსანთა გუნდი, რომელიც ძირითადად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

კ. ზაუტაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.



ამას წინათ სოხუმელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქის 1951 წლის პირველობის გათამაშებამ ფრენბურთში. ვაჟთა შორის გამარჯვება წილად ხვდა „ისკრას“, ქალთა შორის კი სპორტული სკოლის წარმომადგენელთ. სურათზე: „ისკრისა“ და „დინამოს“ ვაჟთა გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ა. წიკრიძისა.

სათხილამურო კროსის წინ

ახლოვდება პროფკავშირულ-კომკავშირული საკავშირო სათხილამურო კროსის დაწყების დღე. როგორც თელავის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. სტეფახოვი გვატყობინებს, რაიონში ფართოდ გაიშალა სამზადისი კროსის მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. შერჩეულია კროსის ადგილი, დაგეგმილია შეჯიბრების დისტანციები, დამტკიცებულია მსაჯთა კოლეგია და სხვ.

კროსში მონაწილეობას მიიღებს 15 გუნდი.

სხვაგვარად დგას საქმე აფხაზეთის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში. როგორც ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი პ. ლეთოდიანი გვატყობინებს, აქ ჯერჯერობით არავითარი მზადება არ არის კროსისათვის. ზოგერთი ხელმძღვანელი მუშაკის განცხადება იმის შესახებ, რომ თბილი ზამთარი არ იძლევა კროსის ჩატარების საშუალებას. სიმართლეს არ შეეფერება. გულრიფშის რაიონში, სოფ. ფსხუს მიდამოებში და სხვაგან კროსის მოწყობის შესანიშნავი პირობები არსებობს.

მწვრთნელის შენიშვნები

გასული წლის დეკემბერში მინსკში გაიმართა სსრ კავშირის XVII გუნდური პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ 16 რესპუბლიკის, ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის მოკრივეთა გუნდები.

ჩვენი მოკრივეების წინაშე სერიოზული ამოცანა იდგა. 1950 წლის საკავშირო ტურნირში მათ დაიკავეს მე-11 ადგილი, რაც მეტად დაბალი მაჩვენებელი იყო. საჭირო იყო ყველა ზომის მიღება, რათა კოლექტივს ასეთი ჩავარდნა გამოესწორებინა და მიეღწია შესაფერისი წარმატებისათვის. გუნდი დაკომპლექტებულ იქნა ახალგაზრდა, ნაკლებ სპორტსმენებით, რომელთაც უველა მონაცემები ჰქონდათ რესპუბლიკის სპორტული სახელის სპატაროდ დაცვისათვის.

კოლექტივის შემადგენლობაში შევიდნენ: ა. კალაჯევი, გ. ხანუკაშვილი, ჯ. მეძმარიაშვილი, შ. ქველიძე, ა. არუშანოვი, თ. გუჯაბიძე, შ. სირბილაძე, რ. არზუმანოვი, გ. დარბაისელი, ბ. ხუცოშვილი, ო. მიქაელიანი, ნ. დარბაისელი, ე. ბაბახანიდი და ა. ნავასარდოვი. მოკრივეებს შეჯიბრებისათვის ამზადებდნენ მწვრთნელები ლ. ლუდუშაური, შ. გორგასლიძე და გ. განსპარიანი.

უნდა აღინიშნოს, რომ გუნდის უოველმა წევრმა საპასუხისმგებლო შეხვედრებში გამოამჟღავნა მაღალი მორალური ჩვენები, კარგი მომზადება და გამარჯვების რწმენა. კერძოდ, მოსკოვის ძლიერმა კოლექტივმა მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ შეძლო მინიმალური უპირატესობით საქართველოს გუნდის დამარცხება. აღსანიშნავია, რომ ხანუკაშვილმა, გ. დარბაისელმა და მიქაელიანმა დაამარცხეს სსრ კავშირის ჩემპიონები გარიუზოვი, შჩერბაკოვი და ტიშინი.

როგორც ცნობილია, საქართველოს კოლექტივმა სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში დაიკავა მე-9 ადგილი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დაბალი, თავისი ძალებისათვის შეუფერებელი ადგილი გუნდს ერგო იმის გამო, რომ შეჯიბრების პირველ დღეს კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, ლენინგრადისა და უკრაინის გუნდებს, რამაც ფაქტიურად გადაწყვიტა პირველი ოთხი ადგილის ბედი.

გარდა ამისა, ძალზე უარყოფითად იმოქმედა იმან, რომ საქართველოს ნაკრების მოსკოვის და ესტონეთის მოკრივეებთან შეხვედრების წინა დღეს ორივე მოწინააღმდეგე გუნდი ისვენებდა, ხოლო საქართველოს სპორტსმენებს ჰქონდათ მატჩი. ცხადია, დაღლილი მოკრივეები ისე ვერ იბრძოლებდნენ, როგორც დასვენებულები.

შეჯიბრების ასეთი სისტემით ჩატარება ვერ იძლევა მონაწილეთა ძალებზე ნამდვილ წარმოდგენას. კოლექტივთა დაყოფა ქვეჯგუფებად, ცალკეული გუნდების დასვენება და კიდევ სხვა ფაქტები ტურნირის მონაწილეთათვის ქმნიან არათანაბარ პირობებს. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ისეთი სისტემის შემუშავება, როცა უველა მონაწილე თანაბარ პირობებში იქნება ჩაყენებული.

პირველობამ ცხადყო, რომ ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ხარვეზები რესპუბლიკაში კრივის განვითარების მხრივ. მთელ რიგ სპორტსაზოგადოებებში, უმაღლეს სასწავლებლებში. წარმოება-დაწესებულებებში სპორტის ამ სახის დანერგვასა და განვითარებას სათანადო უურადღება არ ექცევა.

მაგალითად, ფიზკულტურის ინსტიტუტში წლების მანძილზე თითქმის არ მომზადებულა არც ერთი მოკრივე, რომელიც რესპუბლიკის პირველ ნაკრებში შედიოდეს. პირიქით, ზოგიერთმა მოკრივემ კიდეც დაწია თავისი კლასი (ჯაფარიძე, ხატიაშვილი, არუშანოვი).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის მოკრივე ო. კანდელაკის უოვლად დაუშვებელი, არასპორტული საქციელი. მან გაიარა საწვრთნელი შეკრება და წასვლის დღის, სადგურზე, ზუსტად მატარებლის გასვლის წინ გაუმართლებელი საბაბით უარი განაცხადა გამგზავრებაზე. ასეთი უღირსი, უპასუხისმგებლო მოქმედება მხოლოდ მის სიმხდალეს მიეწერება.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ბ. მელაძე) მოკრივეთა სპორტული მომზადება და მათ შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ძლიერ დაბალ დონეზე დგას. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ამ მდგომარეობას სერიოზული უურადღება უნდა მიაქციოს.

ლ. ლუდუშაური,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

პროფკავშირთა შჯანგისტები

დამთავრდა საქართველოს პროფსაბჭოს პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „ისკრის“, „ნაუკის“, „პიშჩევიკის“ და „ლოკომოტივის“ 50 ძალოსანმა.

გუნდური პირველი ადგილი 9 ქულით მოიპოვეს „ისკრის“ ძალოსნებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ „ნაუკის“, მესამეზე — „პიშჩევიკის“ წარმომადგენლები.

პირად პირველობაში საქართველოს პროფსაბჭოს 1951 წლის ჩემპიონის სახელი მოიპოვეს: მჩატე წონაში — ა. გრიგორიანმა („პიშჩევიკი“) — 227,5 კგ., ქვემსუბუქში — ა. ბარამერაშვილმა („ისკრა“) — 300 კგ., მსუბუქში — ზ. ალხაზოვიშვილმა („ისკრა“) — 295 კგ., ქვესაშუალოში — ა. გალოიანმა („ისკრა“) — 320 კგ., საშუალოში — გ. კოშაძემ („ისკრა“) — 370 კგ., ქვემძიმეში — ნ. ხვედელიძემ („ისკრა“) — 345 კგ., მძიმეში — ი. ქართველიშვილმა („ნაუკა“) — 350 კგ.

ასპარეზობაში სამმა შტანგისტმა უჩვენა პირველი, 12 კაცმა — მეორე და 22-მა — მესამე თანრიგას ნორმები.

მწვანე მინდორზე

დღევანდელი „ლელოს“ მე-3 გვერდზე თქვენ ხედავთ ყინულის მოედანზე ჰოკეისტთა ასპარეზობას. ეს ხდება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში...

...თბილისში კი დგას თბილი, მზიანი ამინდი. სპორტსმენები განაგრძობენ ვარჯიშს ღია ცის ქვეშ, ზამთრის სუფთა ჰაერზე.

11 იანვარს ტელმანისა და ბრძოლის ჭუჭებზე გაიმართა ყურადღება სიიპყრო კარგად ცნობილმა, ოპეციფიკურმა ყრუ დარტყმათა ხმებმა „დინამოს“ სტადიონიდან.

ფეხბურთის მოყვარულნი მოუთმენელი, ჩქარი ნაბიჯებით მიეშურებოდნენ სტადიონის ტრიბუნებისაკენ, სადაც უკვე მოეყარათ თავი მათ „კოლეგებს“ ფეხბურთის დარგში.

მწვანე მოედანზე თამაშობდნენ თბილისის „დინამოს“ ოსტატი ფეხბურთელები. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსვლის შემდეგ თბილისელებს ვარჯიში არ შეუწყვეტიათ და ღია ცის ქვეშ გულმოდგინედ ემზადებიან მომავალი საპასუხისმგებლო შეხვედრებისათვის.

აი გუნდების შემადგენლობა: წითელ მაისურებში — მარღანია; ელოშვილი, ძიაშვილი, სარჯველაძე; ჯავახაძე, კილაძე; ჯოჯუა, გაგნიძე, გულევსკი, ღოღობერიძე, თოდრია. ლურჯ მაისურებში — კიკტია; რუსაძე, გოგლიძე, ბაშაშკინი; პანიუკოვი, ანთაძე; ჭკუასელი, ვოროშილოვი, კალოევი, მახარაძე, ხომონიშვილი.

მატჩს სჯიდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. ჩხატარაშვილი.

თამაში დაიწყო წითელმაისურიანთა მედგარი ერიშით. მე-3 წუთზე მათ გაითამაშეს მეტად საინტერესო კომბინაცია: ჯოჯუამ კუთხური დარტყმიდან სწრაფად გადააწოდა ბურთი ელოშვილს, რომელმაც მოულოდნელად დატოვა თავისი გარემარბი. მცველმა მიიღო გადაცემა, შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანში და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

ამგვარი მომენტი ამ თამაშში უჩვეულო მოვლენა როდი იყო: ორივე გუნდის ნახევარმცველები და მცველები ხშირად გადიოდნენ მეტოქის კარის ახლო მისადგომებზე და მრავალ სახიფათო მომენტს ქმნიდნენ.

განსაკუთრებით უჭირდათ წითელმაისურიანებს — ძირითად შემადგენლობას — პანიუკოვისა და ანთაძის დაკავება (ისინი მწვრთნელის მოსაზრებით სპეციალურად იყვნენ მეორე შემადგენლობაში), რომლებიც წამდაუწუმ მარღანიასთან იყვნენ „ატუზული“. ორივემ წარმატებით დაავიწროვინა თავისი მძაფრი იერიშები — თითო გოლი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

დინამოელები შესანიშნავ სპორტულ ფორმაში არიან. 90 წუთის განმავლობაში მოედანზე წარმოებდა ისეთი თავგამოდებული ბრძოლა, რომელიც ბევრი კალენდარული შეხვედრის სიმწვავეს არ ჩამოუვარდებოდა. უკიდურესად სწრაფი, თავბრუდამხვევი ტემპი არ შენელებულა მთელი თამაშის მანძილზე, რისი მთავარი მიზეზი იყო ერთშეხებიან კომბინაციათა ხიუხვე, ადგილების ხშირი ცვლა და დახვეწილი ტექნიკა.

ლურჯმაისურიანებმა ანგარიში გაქვითეს 30-ე წუთზე: ბაშაშკინმა კარგად გადააწოდა ბურთი მახარაძეს, რომელმაც მკვეთრი, ოსტატური გარღვევის შედეგად იგი ზუსტი დარტყმით კარის დაბალ კუთხეში მოაქცია. 1:1.

თამაშის მეორე ნახევარი ლურჯმაისურიანთა იერიშებით დაიწყო და მალე ანთაძემ ახლო მანძილიდან ანგარიში გაზარდა — 2:1. რამდენიმე წუთის შემდეგ ანგარიში კვლავ გათანაბრდა: ღოღობერიძემ გაიტანა მეორე ბურთი.

თამაშის 75-ე წუთზე პანიუკოვი კარგად გაეიდა თავისუფალ ზონაში და ძნელი მდგომარეობიდან უეცრად დაარტყა კარში. მარღანია მიწვდა მაღალ ბურთს, მაგრამ ხელში ვერ გაიჭერა და მასთან ერთად დაეცა კარის ხაზს იქით — 3:2.

თამაშის დამთავრებას რამდენიმე წუთი უკლდა, რომ გულევსკი შეუჩერებლივ გაიჭრა კარისაკენ და ძლიერი დარტყმით კვლავ გაათანაბრა ანგარიში.

ასე, ფრედ (3:3) დამთავრდა წითელმაისურიან და ლურჯმაისურიან თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი, რომელმაც დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გ. ქორქია

სურათზე: ღოღობერიძე (მარცხნივ) და პანიუკოვი ბურთისათვის ბრძოლისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

საბჭოთა მეცნიერების ბრწყინვალე მიღწევები

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ამას წინათ, ალმა-ატის მახლობლად გაიმართა საბჭოთა კავშირის უძლიერეს მეცნიერთა ასპარეზობა ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს ჯილდოზე.

შეჯიბრების პირველი დღე აღინიშნა მეცნიერე ვაჟთა შესანიშნავი წარმატებებით. მოსკოველმა ი. სერგეევმა 500 მეტრი გაირბინა 41,7 წამში, რაც 0,1 წამით აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ეკუთვნოდა ნორვეგიელ გ. ენგნესტანგენს.

განსაკუთრებით მწვავე ასპარეზობა გაიმართა 1.000 მეტრზე რბენაში. ახალგაზრდა ლენინგრადელმა სპორტსმენმა ბ. ბერეზინმა აჩვენა 1:27,3. ეს შედეგი აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, რომელიც 20 წელზე მეტ ხანს ეკუთვნოდა ფინელ გ. ტუნბერგს. მაგრამ ახალგაზრდა ლენინგრადელის რეკორდმა მხოლოდ რამდენიმე წუთს იარსება: მოსკოველმა ე. ზრიშინმა, დაფარა რა დისტანცია 1 წუთსა და 26.4 წამში, დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი.

სსრ კავშირის ახალი რეკორდით აღინიშნა ასპარეზობა 5.000 მეტრზე რბენაში. გორკელმა გ. პისკუნოვმა ეს მანძილი გაირბინა 8 წუთსა და 21,8 წამში.

ასპარეზობის მეორე დღეც კვლავ მაღალი შედეგებით აღინიშნა. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა ლენინგრადელ ბ. შილკოვს, რომელმაც დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი: 1.500 მეტრზე აჩვენა 2:13,8. შილკოვის შედეგი ნორვეგიელი ენგნესტანგენის მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

ახალი საკავშირო რეკორდებით აღინიშნა ასპარეზობა 10.000 მეტრზე (ნ. მამონოვი — 17:08,8) და 3.000 მეტრზე (ბ. ბერეზინი — 4:50,5).

ორდღიანი დაძაბული ბრძოლის შედეგად ვაჟთა შორის ოთხი დისტანციის ჯამის მიხედვით პირველი ადგილი და ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს ჯილდო მოიპოვა ი. გოლოვჩენკომ (რსკი). მისი შედეგი — 191,138 ქულა — ახალი საკავშირო რეკორდია მრავალჭიდში.

დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა მეცნიერე ქალთა გამოსვლები. ბრწყინვალე მიღწევა მოიპოვა რ. ჟუკოვამ, რომელმაც 3.000 მეტრზე რბენაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 5:21,3.

ყაზახეთის მინისტრთა საბჭოს ჯილდო მრავალჭიდელ ქალთა შორის მოიპოვა მ. ანკანოვამ (210,713).

მრავალრიცხოვანი მაყურებელი გულთბილად მიესალმა რეკორდსმენებს.

ᲝᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ამას წინათ, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის საბჭომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის საბჭოს გამოუგზავნა გამოწვევა, რომელშიც ისინი თხოვენ ქართველ კოლეგებს მათ შორის სპორტის სახეებში შეჯიბრებების გამართვას.

ეს ასპარეზობა შემდგომში ტრადიციად უნდა იქცეს და გაიმართოს ყოველ წელს მორიგეობით თბილისსა და კიევში. გარდა ამისა, წერილში გამოთქმულია სურვილი ამ ორ კოლექტივს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადების შესახებ მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის უკეთ დაყენებაზე.

უკრაინელთა გამოწვევამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზკულტურელთა შორის. ამ საკითხისადმი მიძღვნილ თათბირზე მიღებულ იქნა უკრაინელთა გამოწვევა, დაისახა პრაქტიკული ღონისძიებები და გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა მომავალი შეჯიბრებებისთვის.

პირველი შეჯიბრება გაიმართება მიმდინარე წლის გაზაფხულზე თბილისში. ასპარეზობა მოეწყობა ჩოგბურთში, ცურვაში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და სასტენდო სროლაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ აკადემიის სისტემაში შემავალი კვლევითი ინსტიტუტების სპორტსმენები.

ყინულის მოედნებზე

მთავრდება შაიბიან ჰოკეიში სსრ კავშირის პირველობის გათამაშების პირველი წრე. 5 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე მიდის საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი, რომელსაც აქვს 10 ქულა. გასული წლის ჩემპიონს — სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდს 8 ქულით ტურნირის ცხრილში მეორე ადგილი უკავია, მოსკოვის „კრილია სოვეტოვსა“ და „დინამოს“ ოთხი თამაშის შემდეგ აქვთ 4-4 ქულა; შემდეგ არიან რიგის „დაუგავა“ (2 ქულა) და ჩელიაბინსკის „ძერჟინეცი“ (0).

დაძაბული ბრძოლები წარმოებდა ქ. მოლოტოვში იმ გუნდებს შორის, რომლებიც იბრძოდნენ მომდევნო — VII-XII ადგილებისათვის. მე-7 ადგილზე გამოვიდა მოსკოვის „სპარტაკი“, მერვეზე — ოფიცერთა სახლი (ლენინგრადი), მეცხრეზე — „დინამო“ (ლენინგრადი), მეათეზე — „დინამო“ (ტალინი), მეთერთმეტეზე — „დინამო“ (სვერდლოვსკი), მეთორმეტეზე — „დინამო“ (მინსკი).

* * *

6 იანვარს მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება რუხულ ჰოკეიში.

სურათზე: მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ცდა-ხა და ვვს-ის გუნდების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ლ. დორენსკისა (საკდესი).

ნელა ირწევიან წყნარი დონის ფოლადის ფერი გამშვირვალე ტალღები. მთელი კოლონა, ბორანმა გადაიყვანა. გზა ციმლიანსკაიასკენ გვიდევს.

ღრმა, ფხვიერ სილაში უჭირთ მოტოციკლებს. სავალალოდ, ეს ტალახს როდი ჩამოუვარდება! ადგილზე ბრუნავენ ბორბლები, მტვრის კორიანტელს აყენებენ, ისევ ხელით სათრევი გახდა მანქანა. პატარა აღმართი ავიკვეთ. თვალუწვდენ სივრცეზე სქელი ნისლივით ჩამოწვა მტვერი, არ ჩანს წინმავალი, მანქანებს შორის დისტანცია 100 მეტრზე მეტია, კოლონა ძლიერ გაიწელა.

ბინდდება. ბუქმა დაგვიხშო გზა, ფარის სინათლეც ვეღარ ჭვეთს მტვრის ფარდას. სუნთქვაც კი გვიჭირს. სახეზე ხელსახოცაფარებულებს ცხვირ-პირი მტვრით გამოგვეტენა.

რა დღეს დააყრის ჰირნახულს ივლისსა და აგვისტოში გავარვარებული ამ სილის თვითეული მარცვალი. მაგრამ მალე მოეღება ბოლო ხორშაკის თვითნებობას, წყალი დაუცხრობს წყურვილს მცენარეს.

გზად გვხვდებიან ახლად დასახლებული სტანიცები, სოფლები. ეს ციმლიანსკაიას მომავალი ზღვის ფსკერიდან წამოსული მოსახლეობაა.

ჩვენ ჰიდროკვანძს მშენებლებთან ვართ. მათ ცოტა ხნის წინათ პირველი დიდი გამარჯვება ჩასწერეს მშენებლობის ისტორიაში — დონს კალაპოტი შეუცვალეს. მდინარეს ამ ადგილას 350 მეტრი სიგანე ჰქონდა. ახლა 6 კილომეტრზე გაშლის მხრებს. ვეებერთელა ტერიტორიაზე წყალი დაგროვდება — ციმლიანსკაიას ზღვა. მას ერთი ნავსადგური და რამდენიმე ხავმისადგომი ექნება.

ეს ლამაზი ზღაპარი როდია, რომ დედაქალაქიდან წამოსული ხომალდი შავ ზღვაში ჩამოვა. არა, ეს ხვალინდელი სინამდვილეა — ეს იქნება მომავალი წლის ზაფხულში.

ცივი ქარი ჰქრის. სტანიცა კონსტანტინოვსკაიაში დავისვენეთ. დილის 8 საათისათვის მდინარე ჩრდილო დონეცი გადავლახეთ. ზედიზედ გავიარეთ ქალაქები შახტი, ნოვოჩერკასკი და დონის როსტოვში შევედით. ეს ქალაქი 1944 წელს მჭონდა ნანახი, ფაშისტებისაგან საბჭოთა ჯარების მიერ მეორედ განთავისუფლების დღეებში. ხანძრისაგან გარუჯული, ჩონჩხადქცეული შენობები, ნანგრევებით სავსე უკაცრიელი ქუჩები, ჰაერში ჯერ კიდევ ნამწვის სუნი იდგა, — ასეთად დამამახსოვრდა როსტოვი. ახლა სისხლსავსე, მრავალფეროვანი ცხოვრება დუღს ქალაქში. ბევრი ახალი და აღდგენილი სახლით დამშვენებულა იგი.

საცხების ზეთი და საწვავი მოვიმარაგეთ. ქ. ჟდანოვისაკენ გავდივართ.

მდინარე მიუსზე გადავედით კიდევ ცოტაც და ჩვენ უკვე უკრაინის მოძმე რესპუბლიკის ფარგლებში ვიქნებით. რამდენიმე საათში 200 კილომეტრი გავირბინეთ. ღამით უზარმაზარი ჩირაღდნებივით ანათებენ ქ. ჟდანოვს „აზოვსტალის“ ქარხნის მარტენის ღუმელები.

შემოდგომის სიცივეს ზაპოროჟიეს მისადგომებთან ავდარიც დაემატა. 100 კილომეტრი შხაპუნა წვიმაში მივდივართ.

როზოვკასა და კუიბიშევოს შორის კოლონა, ავითარებდა რა საათში 70-80 კილომეტრს, ხიდზე გავდგა. ხიდის შუა ნაწილში გადატეხილი ბეტონის სქელა კედელი მძიმედ ჩაწოლილიყო მიწამდე, ერთ მეტრამდე სიგანის ბზარს დაეღო პირი. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ შეუძლებელი გახდა დროულად დამუხრუჭება. კომანდორ ნავრუზაშვილის მანქანა როგორც ტრამპლინს, ისე ვადაევლო გზას, მას უვნებლად მიჰყვნენ ირაკლი ზარიძის, მიხეილ ფიცხელაურის და გოგი ღლონტის მანქანები. ბურუსისა და წვიმის გამო მათი გაფრთხილება აღარ მოხერხდა.

გადარბენის ერთ-ერთი უაღრესად სახიფათო მომენტი მშვიდობით დაბოლოვდა.

ულამაზესი სანახავია ღამით ევროპის უძლიერესი ელსადგური დნეპრჰესი.

ზაპოროჟიეში, სამხრეთ უკრაინის № 1 სამონტაჟო-სამშენებლო სამმართველოს კლუბში ხალხმრავალი კრება გაიმართა. აქაც ისეთივე ჯულმხურვალე მიღება მოეწყეს ქართველ სპორტსმენებს, როგორც მარშრუტას ბევრ სხვა პუნქტში.

ზაპოროჟიედან მოყოლებული მოტოკოლონა მიდის იმ გზის გაყოლებით, რომლის გასწვრივაც სამხრეთ უკრაინის მომავალი არხი გაივლის. არხის ტრასაზე საძიებო ექსპედიციების საბურღი კოშკურები გაბნეულან.

ჩვენ ვიმყოფებით ვასილევკაში. №-2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სამოქმედო უბანზე, რომელმაც 60 მილიონი კუბმეტრი მიწის სამუშაოები უნდა შეასრულოს. აქ 42 ობიექტი ამჟამად მშენებლობის ბროცესშია.

სამმართველოს უფროსმა: რატიანს უხმეთო.

იქვე აცნობეს, რომ თბილისელი ახალგაზრდა ინჟინერი სტადიონზე წავიდა, სპარტაკიადისათვის ემზადებაო.

მელიტოპოლი. სოფელ ტერპენიეს რაიონში 36.000 ჰექტარ დაბლობს 5-6 მილიონი კუბმეტრი წყალი დაჰფარავს; აქ აიგება მოლოჩანსკის დიდი წყალსაცავი.

ოდესღაც, ეს ადგილები წარმოადგენდა ფსკერს არმატის ზღვისას, რომლითაც დაფარული ყოფილა საბჭოთა კავშირის მთელი სამხრეთი ნაწილი. წყალსაცავის ზონაში მუშაობდა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია, რომელიც აღწერდა, იხატავდა კულტურის უძველეს ძეგლს — გამოქვაბულს. კიეველმა მხატვარმა იადვიგა მაცევსკაიამ, რომელსაც ტილოზე გადაჰქონდა მამონტის გამოქვაბული, გოგი ღლონტის პორტრეტი ჩაიხატა. დიდი ალბომის თეთრი ფურცლიდან წყალმყვინთავივით იცქირებოდა თავჩაფხუტიანი ქართველი მოტომარბიელის ცოცხალი სახე.

... მოსკოვ-სიმფეროპოლის ავტოსტრადაზე მთელი სისწრაფით მიჰქროდა კოლონა. შემდეგ კახოვკისაკენ გადაუხვია. გზა აქაც ისეთივე სილიანია, როგორც ციმლიანსკაიასაკენ. მდგომარეობას კიდევ ის ართულებს, რომ ჭარი ამოვარდა.

კვირა დღეა, მზიანი. კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლებს დღეს დიდი ზეიმი აქვთ. ქალაქ ახალკახოვკის, რომელიც დნეპრის პირას შენდება, კეთილმოწყობილ ბინებში 400 ახალი მცხოვრები ჩასახლდა.

სულ ახალი ტვირთით — აგურით, ცემენტით, ხე-ტყით სავსე კარჩაპები, მანქანებითა და მოწყობილობით დატვირთული ვაგონები მოდის კახოვკის ჰესის მშენებლობის მისამართით.

აქედან დაიწყო ძლიერი შემხვედრი ქარი. ჭირს ტემპის განვითარება.

დღის ბოლოსათვის ქ. ჯანკოიში მივედით.

მეთვრამეტე დღეა გზაში ვართ, შეუნელებლად მივისწრაფვით მიზნისაკენ. ჩრდილოეთ ყირიმის არხი უკანასკნელი დიდი მშენებლობაა, რომელიც გადარბენის მარშრუტით უნდა გავიაროთ.

ჯანკოიში ეს-ეს არის იშლება სამშენებლო სამუშაოები, ერთი მეორეზე მწყობრში დგებიან საცხოვრებელი სახლები, კანტორები, საწყობები, სარემონტო სახელოსნოები.

დამთავრდა თუ არა მიტინგი, სიმფეროპოლისაკენ გავეშურეთ. აქ გულთბილად შეგვხვდნენ ადგილობრივი დინამოელები. მოტოკლუბის წევრებმა მშვიდობის ალამი გადასცეს გადარბენის მონაწილეებს.

ღილით ქერჩისაკენ გავეშურეთ. კვლავ აღიმართნენ მწვანით დაფარული მთები, შემდეგ ქერჩის გადატრუსული გორები გამოჩნდნენ. გზა უარესდება...

აი ქალაქი, გაფთრებული ბრძოლების არენა — ქერჩი! რამდენმა მამაცმა ქართველმა დასდო თავი მის დასაცავად, რამდენი თანამემამულე წევს ძმათა სასაფლაოზე! მიტრიდატის მთიდან, რომელიც ბრძოლების დროს ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა, ამაყად გადასცქერის ქალაქს სვეტმაღალი ობელისკი. ქერჩის აღებისათვის თავგანწირული ბრძოლის დროს გმირულად დაღუპულ სამშობლოს ერთგულ შვილთა შორის ქართველი ჯორბენაძის — ერთი მრავალთაგანის — გვარიცაა მოხსენებული. თავდადებულ მეომართა საფლავი ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკეს მოტომარბიელებმა. ქერჩი მკვდრეთიდან ამდგარა, მაგრამ მაინც ატყვია ნაჭრილობევი.

ჯერ კიდევ ჩვენს ჩამოსვლამდე სამი დღის წინ დაწყებული ქარიშხალი მძვინვარებდა აზოვის ზღვაზე. სრუტეზე გადასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. პარტიის საქალაქო კომიტეტის დახმარებით ნავსადგურის ხელმძღვანელობა, როგორც იქნა, დათმობაზე წავიდა, დათანხმდა მოტოკოლონის გადაყვანაზე, მაგრამ კატეგორიული უარი განაცხადა ტექდახმარების ავტომანქანის გადაყვანაზე. გემზე, რომლითაც ჩვენს გადაყვანას აპირებდნენ, არ შეიძლებოდა ავტოს აყვანა. არადა, მანქანის დატოვება შეუძლებელიაო, — აცხადებდნენ მოლაშქრენი. გზაში ვეება რა შეგვემთხვას, სათადარიგო ნაწილები, ბენზინი, მრავალი სხვა რამაა საჭირო.

მდგომარეობა გამოუვალი ხდებოდა. ნავსადგურში განაცხადეს: მეტეოროლოგიური სადგურის ცნობით ღელვის დაწყნარების ნიშნები არ ჩანსო. გადარბენის ვადაზე დამთავრება აშკარა საფრთხეშია.

საბოლოო გადაწყვეტილება ასეთი იყო: ავტომანქანას ვტოვებთ! მას პირველი შესაძლებლობისთანავე გადმოიყვანენ და გზაში წამოგვეწევა. ეს იყო დღისით. საღამოსათვის ახალი აზრი დაიბადა: ავტო დაგეშალა და ისე აგვეტანა გემზე. ადრე დავწექით...

შუაღამისას გვაცნობეს: ქარიშხალი სუსტდება, ამინდს თითქოს პირი უჩანსო.

გათენების 4 საათისათვის მოტოციკლებითა და მანქანით დატვირთულმა თვითმავალმა კარჩაპმა კურსი აიღო ტამანისაკენ. ჯერ კიდევ დაუწყნარებელი ზღვის ტალღები ბუმბულივით ათამაშებდა კარჩაპს, ნისლი იწვა ყურეში.

ესეც ასე, გადალახულია ქერჩის სრუტეც. ნავმისადგომიდან გადმოსვლისთანავე განვაგრძეთ გზა. მოტორვჩის გუგუნი აფხიზლებდა დიდი მიწის მთვლემარე მიდამოს. სიშმაგით მოღლილმა ქარიშხალმა წუთით წაიმუხლა და სწორედ მაშინ იხელთეს დრო მამაცმა მოლაშქრეებმა. გზაში გავიგეთ, რომ ქარიშხალს კვლავ აეწყვიტა ალვირი.

როგორც იქნა, დამთავრდა სახიფათოდ სავალი, არაჩვეულებრივად ხშირი და მკვეთრი მოსახვევებით სავსე ნოვოროსიისკ-სოჭის გზა. მთელ დღეს წვიმა გვირტყამდა სახეში. საღამოს მოტოციკლის შუქზე აციმციმდა პირველი ქართული წარწერა: ლესელიძე. ჩვენ უკვე საქართველოს მიწაზე ვართ მალე გაგრაში გავჩნდით.

გამოვიარეთ სოხუმი, ქუთაისი, ზესტაფონი... ყველგან მიტინგები მოხართებოდა. გულთბილად გვიღებდნენ...

სტარტიდან 26-ე დღეს, დანიშნულ დროზე, გამარჯვებულმა მოლაშქრეებმა გადარბენის წარმატებით დამთავრება, უვნებლად და უვარიოდ დაბრუნება უპატაკეს საქართველოს დედაქალაქს.

ს. ხარაზიშვილი
(ჩვენი სპეც. კორესპონდენტი)

დასასრული. იხ. გაზეთი „ლელო“ 1951 წლის № 48, 50, 54; 1952 წლის № 2.



მოსწავლეთა არდადეგების დღეებში ნორჩი ფიზკულტურელები გატაცებით ვარჯიშობდნენ სპორტის სხვადასხვა სახეში. სურათზე: თბილისის ქალთა 39-ე სკოლის მოსწავლე ნ. ტიტოვა (მარცხნივ) დვირზე; ქალთა მე-6 სკოლის მოსწავლე შ. ცნობილაძე ორძელზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა

გათამაშდა ქ. თბილისის პირადაგუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში.

გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქის წარმოება-დაწესებულებების ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების 8 ნაკრები გუნდი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჰიდრო-ენერგოპროექტისა და თბილისის ჰიდრო-ენერგეტიკისა და აღმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება დარჩათ ჰიდრო-ენერგოპროექტის წარმომადგენლებს (8:5).

გაცილებით საინტერესოდ ჩატარდა პირადი პირველობის გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდა 38 სპორტსმენი.

ვაჟთა შორის პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა 1950 წლის ჩემპიონს ი. ხომშიაშვილსა და თ. სანაკოევს შორის. დაძაბულ შეხვედრაში მეხუთე, გადამწყვეტი პარტია და მასთან ერთად შეჯიბრება მოიგო ი. ხომშიაშვილმა, რომელიც გახდა ქალაქის 1951 წლის ჩემპიონი. მეორე ადგილზე გამოვიდა თ. სანაკოევი. მესამე ადგილი ერგო ბ. ტელეგინს.

ქალთა შორის კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა ი. იზაშვილი, რომელმაც, დაამარცხა რა ფინალში რ. მესტიაშვილი, გაინაღდა პირველი ადგილი. მეორე ადგილზეა რ. მესტიაშვილი, მესამეზე — ლ. არცომეულაია.

ვაჟთა წყვილებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ თ. სანაკოევი და ვ. გვარჯალაძე, ქალთა წყვილებში — ი. იზაშვილი და რ. მესტიაშვილი, შერეულ წყვილებში — ი. იზაშვილი და თ. სანაკოევი.

ა. ელერდაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ოლიმპიური თამაშები

პ. სოგოლევი

ამას წინათ, სსრ კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აცნობოს XV ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს წინასწარი თანხმობის შესახებ საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობაზე ოლიმპიურ თამაშებში, რომლებიც გაიმართება 1952 წლის 19 ივლისიდან 3 აგვისტომდე ჰელსინკში (ფინეთი).

ოთხ წელიწადში ერთხელ, ყოველ ნაკიან წელს, ტარდება ოლიმპიადა — ეს უდიდესი სპორტული ღონისძიება მსოფლიოში. XV ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილია სპორტის შემდეგი სახეები:

1. მძლეოსნობა. **ვაჟები:** რბენა 100, 200, 400, 800, 1.500, 5.000 და 10.000 მეტრზე, 110 და 400 მეტრზე თარჯებით, 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით, მარათონული რბენა, ამანათრბენები 4×100 მ. და 4×400 მ., ხტომები სიმაღლეზე, სიგრძეზე, ჰოკით, სამჯერადი ხტომა, ბირთვის კვრა, ბადროს, შუბისა და ტროს ტყორცნა, სიარული 10.000 და 50.000 მეტრზე; **ქალები:** რბენა 100, 200 მეტრზე, 80 მეტრზე თარჯებით, ამანათრბენი 4×100 მ., სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომები, ბირთვის კვრა, ბადროსა და შუბის ტყორცნა.

2. ტანვარჯიში. **ვაჟები:** გუნდური ჩათვლა და პირადი პირველობა—თავისუფალი ვარჯიში, რგოლები, ორძელი, ტაიჭი სახელურებით, ბჯენითი ხტომები, ღერძი და აბსოლუტური პირველობა; **ქალები:** გუნდური ჩათვლა ოთხჭიდში.

3. კლასიკური ჭიდაობა.
4. თავისუფალი ჭიდაობა.
5. კრივი.
6. სიმძიმეების აწევა.
7. ცურვა. **ვაჟები:** 100, 400, 1.500 მეტრზე ნებისმიერი სტილით, 100 მეტრზე ზურგზე, 200 მეტრზე ბრასით, ამანათცურვა 4×200 მ. ნებისმიერი სტილით; **ქალები:** 100, 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით, 100 მეტრზე ზურგზე, 200 მეტრზე ბრასით, ამანათცურვა 4×100 მ. ნებისმიერი სტილით.
8. წყალში ხტომები ტრამპლინიდან და კოშკიდან (ვაჟები და ქალები).
9. წყალბურთი.
10. ფარიკაობა. **ვაჟები:** გუნდური და პირადი ჩათვლა რაპირაში, ესპადრონსა და შპაგაში, **ქალები:** პირადი ჩათვლა რაპირაში.
11. თანამედროვე ხუთჭიდი: ფარიკაობა, სროლა, ცურვა, კროსი, საცხენოსნო სვლა.
12. სროლა. მცირეყალიბიანი შაშხანა 3×40, ნებისმიერი იარაღი ყველა მდგომარეობიდან 300 მეტრზე, პისტოლეტი 50 და 25 მეტრზე.
13. სასტენდო სროლა — „გაქცეული ირემი“ და მფრინავი თეფშები.
14. აკადემიური ნიჩბოსნობა.
15. საბაიდარო ნიჩბოსნობა.
16. საიალქნო სპორტი. მსხვილი კლასის საერთაშორისო იახტები „6-ო“ და 5,5 მ., „დრაკონის“ მონოტიპები, „ვარსკვლავური კლასი“ და „ფინის“ შვარბოტები — ერთეულები.
17. საველოსიპედო სპორტი. პირადი ჩათვლა: სპრინტი 1.000 მეტრზე, გიტი 1.000 მეტრზე, 2.000 მეტრზე ტენდით, რბოლა გამოდევნებით 4.000 მეტრზე, საგზაო რბოლა 187,2 კილომეტრზე.
18. საცხენოსნო სპორტი. გუნდური და პირადი ჩათვლა: საცხენოსნო სვლის უმაღლესი სკოლა, ეროვნებათა ჯილდო.
19. ფეხბურთი.
20. კალათბურთი.
21. ჰოკეი (ბალახის).

პირად შეჯიბრებებში მძლეოსნობასა და ცურვაში დაიშვება სამ-სამი მონაწილე ყოველი ქვეყნიდან, გუნდურ შეჯიბრებებში — თითო გუნდი. შეჯიბრებებზე შტანგაში, კრივსა და ჭიდაობაში დაიშვება თითო მონაწილე ყოველ წონით კატეგორიაში.

ზოგიერთ ეროვნულ ასოციაციას გაჰყვირიან ოლიმპიურ ოჯახზე, რომელიც ამეთანგვა სპორტსმენებს კანის ფერისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ეს სიტყვები ხშირად მხოლოდ სიტყვებად რჩება. ზანგი სპორტსმენების რასობრივ დისკრიმინაციას ადგილი აქვს ოლიმპიადის დროსაც. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეთა შორის არ არის არც ერთი ზანგი: ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგებს აკრძალული აქვთ ცურვა იმ საცურაო აუზებში, სადაც „თეთრები“ არიან, რადგან, თითქოს, ზანგები აბინძურებენ წყალს. პრესაში გამოჩნდა რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს სურდათ ზანგების გამოყოფა „თეთრებისაგან“.

ეს და ბევრი სხვა მაგალითი მოწმობს, რომ თანამედროვე ოლიმპიური საქმოსნები ხშირად ტალახში სვრიან ოლიმპიური თამაშების მაღალ იდეალებს — მშვიდობისა და მეგობრობის იდეალებს. მაგრამ რეაქციონერების ცდებს შეეყენან ოლიმპიადის იდეალები, ეღობება სპორტსმენთა ფართო მასების გადამწყვეტი წინააღმდეგობა, მასებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან ხანგრძლივი მშვიდობის მტკიცე შენარჩუნებით, ყველა ეროვნებისა და რასის სპორტსმენთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებით.

ყველას ახსოვს წარსული ომი, რომლის დროსაც არა მარტო ფაქტიურად შეწყდა სპორტული ცხოვრება, დანგრეულ იქნა დიდი რაოდენობის სპორტული ნაგებობები, არამედ, რაც ყველაზე მთავარია, ისიც, რომ მილიონობით ადამიანი დაიღუპა ფრონტზე და ზურგში. მათ შორის იყვნენ მსოფლიო რეკორდსმენებიც და ახალგაზრდა ფიზკულტურელებიც, რომლებიც ის იყო აწყებდნენ თავიანთ სპორტულ კარიერას.

როგორც სწორად აღნიშნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა დოქტორმა ფ. მეზომ (უნგრეთი), ძველად ოლიმპიური თამაშების მოახლოვებისას წყდებოდა იარაღის ჟღარუნი, მაგრამ ჩვენს ახალ ეპოქაში მათ ჩატარებას იარაღის ჟღარუნმა სამჯერ შეუშალა ხელი ნახევარი საუკუნის მანძილზე! ომებთან დაკავშირებით ოლიმპიური თამაშები არ გამართულა 1916, 1940 და 1944 წლებში.

ყველა კეთილი ნების ადამიანები აქტიურად ებმებიან მშვიდობის მომხრეთა მოძრაობაში, დაუღალავად იბრძვიან მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის. 600 მილიონამდე კაცმა მოაწერა ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. მათ შორის არიან იტალიელი ფეხბურთელები, ფრანგი ველოსპორტსმენები, ფინელი მოჭიდავეები, მსოფლიოს ყველა კუთხის ათასობით სპორტსმენები.

ჩრდილოეთის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა 1951 წლის დეკემბერში სტოკჰოლმში, შვეციისა და ფინეთის რამდენიმე ათეულმა ცნობილმა სპორტსმენმა ჩრდილოეთის ქვეყნების ყველა სპორტსმენს მოუწოდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა მშვიდობისათვის ბრძოლაში. მიმართეს მთავრდება მოწოდებით გადააქცეონ მომავალი ოლიმპიური თამაშები „მშვიდობისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებად“.

მორიგი ოლიმპიური თამაშები უნდა გადაიქცეს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ნამდვილ ოლიმპიადად.

(„სოვეტსკი სპორტი“)



XIX საკავშირო ჩემპიონატიდან...

ე. გელერი—პ. კერესი

კომენტარები ოსტატობის კანდიდატ თ. გიორგაძისა

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ᵹf3 ᵹc6 3. ⱡb5 a6 4. ⱡa4 ᵹf6 5. 0—0 ⱡe7 6. ᵹe1 ⱡe7 7. ⱡb3 d6 8. c3 0—0 9. h3 ᵹa5 10. ⱡc2 c5 11. d4 ₾c7 12. ᵹbd2

ეს ცნობილი თეორიული სისტემა ატარებს მისი ავტორის—გენიალური რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინის სახელს. შავების მიზანია გაიჩაღონ თამაში ლაზიერის ფლანგზე, რათა დაარღვიონ ესპანური პარტიაში თეთრების ძირითადი გეგმა — შეტევა შავების მეფის ფლანგზე) **12. . . . cd 13. cd ⱡb7 14. ᵹf1 ᵹac8** (ესპანური პარტიის დიდმა მცოდნემ დიდოსტატმა კერესმა აირჩია ახალი გზა, რომლის მიზანია ცენტრზე ზეგავლენით სწრაფად გაშალოს თამაში ლაზიერის ფლანგზე) **15. ⱡb1** (ასეთ მდგომარეობაში ბოლესლავსკიმ კერესის წინააღმდეგ ბუდაპეშტის 1950 წ. საერთაშორისო ტურნირში ითამაშა **15. ᵹe3 და ᵹ : e4 16. ᵹd5 ₾e2!** შემდეგ მიიღო მეტად მძიმე მდგომარეობა. გელერი თავისებურად თამაშობს ამ ვარიანტს, მაგრამ, როგორც შემდგომში გამოირკვევა, არც ესაა საკმარისი უპირატესობის მიღებისათვის) **15. ... d5 16. ed** (თუ **16. de ᵹ : e4 17. ᵹg3 f5 18. ef ⱪ : f6 19. ᵹ : e4 de 20. ⱪ : e4 ⱪe4 21. ₾ : e4 ᵹcd8 22. ₾e2 ᵹc4** და შავებს პაიკში აქვთ საკმარისი ინიციატივა) **16. .. de 17. ⱪg5 h6** (რასაკვირველია ცუდია **ᵹ : d5**, რომლის შემდეგ თეთრები მეტად სახიფათო შეტევას ღებულობენ. მაგ. **18. ⱪ : e7 ᵹ : e7 19. ⱪ : h7+ ᵹg : h7 20. ᵹg5+ ᵹg6 21. ₾g4** და ა. შ) **18 ⱪh4 ᵹ : d5 19. ₾d3 g6 20. ⱪg3 ⱪd6 21. ⱪ : d6 ₾ : d6** (ამრიგად, შავებმა კარგი თამაშით არა მარტო გაათანაბრეს მდგომარეობა, არამედ უკეთესიც მიიღეს) **22. ₾d2?** (გელერი უშვებს შეცდომას, იგი ვერ ერკვევა პოზიციის სიღრმეში. აქ **ჯობდა 22. ₾ : d4.**

ახლა კერესი ფიგურის შეწირვით ახორციელებს თეთრ მეფეზე ღრმა და თვალწარმტაც კომბინაციურ იერიშს. კომბინაცია აგებულია თეთრი ფიგურების პასიურ განლაგებაზე).

22. ... ᵹf4! 23. ₾ : a5 ⱪ : f3 24. gf ᵹ : h3+ 25. ᵹfg2 (თუ **ᵹfh1**, მაშინ **25. ... ₾f4 26. ⱡe4 ᵹ : f2+ 27. ᵹfg2 ᵹ : e4** და **ᵹc2+** შამათის მუქარით) **25. ... ᵹf4+ 26. ᵹfg1 ᵹh3+ 27. ᵹfg2 ᵹf4+** (დროის მოგების მიზნით შავებმა სვლები გაიმეორეს) **28. ᵹfg1 ₾d5 29. ᵹg3** (თუ **ⱡe4**, მაშინ **₾g5+ 30. ᵹg3 ₾h4** მოგებით) **29. ... d3** (არ ვარგოდა **₾ : f3 30. ⱡe4** გამო) **30. ᵹe1 ₾f5 31. ₾b4** (თუ **₾d2**, მაშინ **ᵹc4** და **ᵹ : e4** მოგებით) **31. .. ᵹe8!** გელერი დანებდა, ვინაიდან **ᵹ : e4** შეძდეგ შავები ადვილად იგებენ.

ეს პარტია კერესის შემოქმედების ბრწყინვალე გამარჯვებაა.

შეჯიბრება სროლაში

გაბრა. შედგა სპორტსაზოგადოება „ისკრის“ რაიონული საბჭოს ძირეული კოლექტივების შეჯიბრება სროლაში მცირეყალიბიანი შაშხანიდან.

ასპარეზობაში კარგი მაჩვენებლები მოიპოვა გაგრის პირველი საშუალო სკოლის ძირეულმა კოლექტივმა წუღეისკირის, მარხულიას, ნადარეიშვილის, იაშვილისა და ოჩიგავას შემადგენლობით. 250 შესაძლებლიდან მათ მოაგროვეს 225 ქულა.

შეჯიბრების ექვსმა მონაწილემ ჩააბარა მესამე თანრიგის ნორმები. პირველი საშუალო სკოლის წარმომადგენელმა წულეისკირმა 50 შესაძლებლიდან 46 ქულა შეაგროვა.

ვ. როდონაია

რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12; დეპეშებისათვის თბილისი „ლელო“. ტელეფონი 3-90-34.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00210